ა ნ გ ა რ ი შ ი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების
დეპარტამენტისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების მიერ
2014 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

2015 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებულმა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 228257, მათ შორის ქ. თბილისში - 94409, სამეგრელო- ზემო სვანეთში -85447, იმერეთში - 25065, აჭარაში - 6467, რაჭა-ლეჩხუმ - ქვემო სვანეთში - 840, გურიაში - 492, ქვემო ქართლში - 9234, კახეთში - 1192 და ა.შ.

აფხაზეთის ქალაქებისა და რაიონების მიხედვით დევნილების რაოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად: ქ. სოხუმი - 44452 (19%), ქ. ტყვარჩელი - 2633 (1%), ქ.გაგრის ზონა - 17543 (8%), გუდაუთის რაიონი - 4515 (2%), სოხუმის რაიონი - 19288 (8%), გულრიფშის რაიონი - 31435 (14%), ოჩამჩირის რაიონი - 33070(15%), გალის რაიონი 75321(33%). სრული ინფორმაცია იხილეთ დანართ №1-ში.

2014 წლის განმავლობაში დეპარტამენტი თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ხელმძღვანელობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ 2008 წლის 3 ივნისს დადგენილება №6-ით დამტკიცებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დებულებით. მის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სამთავრობო თუ არასამთავრობო (ადგილობრივ და საერთაშორისო) ორგანიზაციებთან თანამშრომლობა; საქართველოსოკუპირებულიტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად ოკუპირებული ტერიტორიიდან (აფხაზეთი) გადმოსული თანამემამულეების მიღება-განსახლების პროცესში მონაწილეობა და მათთვის გადაუდებელი პირველადი დახმარების აღმოჩენა,შემდგომ კი დასაქმება და ადაპტაცია-ინტეგრაციაში ხელშეწყობა, ორგანიზებულად ჩასახლებულ ობიექტებში საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა, დროებითი საცხოვრებელი ფართობების რეაბილიტაციაში კომპეტენციის ფარგლებში დახმარების გაწევა, უცხოეთიდან დაბრუნებული აფხაზეთის მკვიდრთათვის დევნილის სტატუსის აღდგენა-მინიჭებაში ხელშეწყობა, დევნილების მოქალაქეობრივი ინტერესებისადა კანონიერი უფლებების დაცვა, დევნილთათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით წყაროების მოძიება, მოპოვებული რესურსების დევნილებზე განაწილება და მათთვის ადგილზე მიწოდება, აფხაზეთის მთავრობასადა მისშემადგენლობაში შემავალი დაწესებულებების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობა და ა.შ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 7 ნოემბრის №49 დადგენილებით დამტკიცდა ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ახალი დებულება, რომლის შესაბამისად შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული – წარმომადგენლობების მართვის კოორდინაციისა და მონიტორინგის სამმართველო, რომლის ძირითადი ფუნქციებია:

- აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობებთან კოორდინაციით და ერთობლივი მუშაობით დევნილთა პრობლემების შესახებ არსებული ინფორმაციის ანალიზი და ამ პრობლემების გადაჭრისათვის საჭირო წინადადებების შემუშავება;
- დევნილ სოციალურად დაუცველ კატეგორიებზე ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა, წარმომადგენლობებში შექმნილი კომისიების საქმიანობის მონიტორინგი;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა შიდა მიგრაციის თაობაზე ინფორმაციის მოძიება და მონაცემთა სრული კომპიუტერიზაციის უზრუნველყოფა და სხვა.

დებულები სშესაბამისად დეპარტამენტში არის 46 საშტატო ერთეული. დღეისათვის დაკავებულია 45 საშტატო ერთეული. ვაკანტურია დეპარტამენტის დევნილთა განსახლებისა და სოციალური დაცვის განყოფილების უფროსის შტატი.

ასაკის შესაბამისად:

-30 წლამდე - 2 ;
- 30-დან - 40 წლამდე - 12;
- 40-დან - 50 წლამდე - 18;
- 50-დან - 60 წლამდე - 8;
- 60- დან - 65 წლამდე - 5.

დეპარტამენტში მსახურობს 23 (51,1%) მდედრობითი სქესის და 22 (48,9%) მამრობითი სქესის შტატიანი მუშაკი. 45 - დან 39 შტატიან თანამშრომელს აქვს საჯარო სამსახურში 5 წელზე მეტი მუშაობის გამოცდილება.

გარდა ამისა, დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, დეპარტამენტში დასაქმებულია 15 თანამშრომელი (მათ შორის, ორი დამლაგებელი), რომლებიც გარკვეული ვადით და კონკრეტული დავალების შესაბამისად ასრულებენ დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ დაკისრებულ ვალდებულებებს.

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტის საქმიანობა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, იყო საკმაოდ დატვირთული და მრავალფეროვანი.

დეპარტამენტის მონაწილეობით დევნილთა მიმართ 2014 წელს გატარებული ღონისძიებების ჩამონათვალში აღსანიშნავია შემდეგი:

- 2014 წლის 1 იანვარს დეპარტამენტის ორგანიზებით 50 დევნილი ბავშვი დაესწრო სამგანზომილებიან წარმოდგენას „ყინულის დედოფალი“, რომელიც გაიმართა თბილისის სპორტის სასახლეში;
- 2014 წლის 7 იანვარს ლილოს დასახლებაში მცხოვრებ აფხაზი ეროვნების 5 ოჯახს გადაეცა საშობაო ნობათი;
- 2014 წლის 9 იანვარს არასრულწლოვანთა №11 სპეციალური დაწესებულების აფხაზეთიდა ნდევნილ მსჯავრდებულებ სდეპარტამენტის მიერ გადაეცათ საშობაო საჩუქრები;
- 2014 წლის 10 იანვარს ახმეტელის თეატრის ადმინისტრაციის მიწვევით აფხაზეთიდან დევნილი 25 ბავშვი დაესწრო საშობაო წარმოდგენას. სპექტაკლის შემდეგ მაღაზია ,,ცეროდენა“-ს მხარდაჭერით ბავშვებს გადაეცათ საჩუქრები. დეპარტამენტმა უზრუნველყო აღნიშნულ ღონისძიებაზე დევნილი ბავშვების ინფორმირება და მიცილება;
- 2014 წლის 14 იანვარს აფხაზეთის უსინათლო და ყრუ-მუნჯთა საზოგადოება „ჰერა“- ს 23 ბავშვს დეპარტამენტის მიერ გადაეცა საახალწლო საჩუქრები;

- 2014 წლის 17 იანვარს დეპარტამენტის ორგანიზებით და ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის გამგეობის ხელშეწყობით ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის №13, ყოფილი რკინიგზის საავადმყოფოს შენობაში განსახლებულ დევნილი ლალი ლუკავას მრავალშვილიან ოჯახს გადაეცა 3 კუბური მეტრი შეშა;
- 2014 წლის 30 იანვარს ესპანური ინტეგრაციისა და სოლიდარობის ფონდ ,,FINŠOL"-ისგან მიღებული ჰუმანიტარული დახმარება (23 ყუთი, სასკოლო-საკანცელარიო ნივთი) მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადაეცა გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს, რომელმაც შემდგომ გადაანაწილა გალის რაიონში მდებარე თაგილონის, ზემო ბარღების, ქვემო ბარღების, ოტობაიის №1, ფიჩორის, ჭუბურხინჯის №2 საშუალო სკოლებზე. გარდა ამისა, გალის რაიონის სოფელ ქვემო ბარღების ამბულატორიას გადაეცა 2 ყუთი სანიტარული დანიშნულების ნივთი.
- აგრეთვე, გალის რაიონში მდებარე ზემოთჩამოთვლილ სკოლებს მიეწოდათ საქველმოქმედო ფონდ ,,ამქორი-საქართველო"-სგან დეპარტამენტისთვის გადმოცემული 117 ცალი სასკოლო კომპლექტი (ჩანთა და სხვადასხვა სახის საკანცელარიო ნივთი) და 117 ცალი ჰიგიენური კომპლექტი;
- 2014 წლის 17 თებერვლიდან 31 მარტის ჩათვლით დეპარტამენტის თანამშრომლები ჩართული იყვნენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სამინისტროს დაკვეთით, სს ,,თელასი"-ს მიერ წარმოებული ქ.თბილისის დევნილთა ორგანიზებულად ჩასახლების ობიექტებში ინდივიდუალური ელექტრო მრიცხველების დამონტაჟების პროცესის მონიტორინგში;
- 2014 წლის პირველ ნახევარში დეპარტამენტის თავმჯდომარის დავალების შესაბამისად, დეპარტამენტის საჯარო მოხელეებს დაევალათ ქ. თბილისში მდებარე დევნილთა კოლექტიურ ცენტრებში და ამხანაგობებში არსებული შენობა ნაგებობები სტექნიკური მდგომარეობის და იქ ჩასახლებული იძულებით გადაადგილებული პირების საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა. ამჟამად შესწავლილია 250-მდე ეობიექტი. შესწავლილი მასალები ცხადყოფს, რომ დევნილების საცხოვრებელ კორპუსებში აღინიშნება რიგი ტექნიკური სახის ხარვეზები და ნაკლოვანებები, როგორიცაა სახურავის დაზიანება, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემის გაუმართაობა, ბუნებრივი აირის მიწოდების სისტემის არარსებობა. ელექტრო გაყვანილობის მოუწესრიგებლობა და ა.შ. ;
- დევნილთა კოლექტიურ განცხადებაზე რეაგირების მიზნით დეპარტამენტის თანამშრომელთა ჯგუფი 2014 წლის 21-22 თებერვალს იმყოფებოდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, კერძოდ ქალაქ ბორჯომში, სადაც შეისწავლეს მესხეთის ქ. №63 მდებარე სანატორიუმ ,,ლიკანი-3"-ში ჩასახლებულ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა (125 ოჯახი, 320 დევნილი) სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობა და საყოფაცხოვრებო პირობები. მივლინების პროცესში შედგა სამუშაო შეხვედრები, როგორც დევნილებთან და სანატორიუმის ხელმძღვანელობასთან, ასევე ბორჯომის მუნიციპალიტეტისა და კომპანია ,,ენერგო-პრო გეორგია"-ს ბორჯომის სერვისცენტრის წარმომადგენლებთან. ასევე, დეპარტამენტის თანამშრომელთა ჩარევით, გადაწყდა დევნილთა საცხოვრებელ კორპუსში არსებული ზოგიერთი პრობლემის (კანალიზაცია, ელმრიცხველების განმხოლოების საკითხი და ა. შ.) მოგვარების საკითხი;
- 2014 წლის 27 თებერვალს ჩუბინაშვილის ქ. №30-ში და ცაიშის ქ. №36-ში განსახლებულ 40 დევნილ ოჯახს გადაეცა USAID-ის მიერ მოწოდებული ჰუმანიტარული დახმარება;
- დევნილი ბავშვების საგანმანათლებო დონის ამაღლებისა და საკომუნიკაციო შესაძლებლობების გაფართოების მიზნით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტმა მოიძია ქ. თბილისში არსებული ინგლისური ენის შემსწავლელი ორგანიზაციები - ქართულ-ევროპული

საგანმანათლებლო ცენტრი,ინგლისური ენის აკადემია HE ELჩ - ინგლისური ენის ცენტრი, ELLჩ - ინგლისური ენის სასწავლო ცენტრი და გააფორმა მათთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (სულ გაფორმდა 4 მემორანდუმი , მათ შორის 3- სამი თვის ვადით, 1- 2014 წლის ბოლომდე) რომელიც ითვალისწინებს 26 (ოცდაექვსი) დევნილი ბავშვისთვის უსასყიდლოდ ინგლისური ენის შემსწავლელი სამთვიანი კურსის გავლას, რომლის დამთავრების შემდეგ ბავშვებს გადაეცემათ სათანადო სერთიფიკატები. დეპარტამენტის მიერ ზემოთჩამოთვლილ ორგანიზაციებთან ჩატარებული მუშაობის შედეგად დევნილ მოსწავლეებს მიეცათ ინგლისურ ენაში ცოდნის გაღრმავების საშუალება;

- 2014 წლის თებერვლის თვეში დეპარტამენტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ ქ. თბილისი, ბაგების სტუდქალაქის მე-4 და მე-5 კორპუსებში არსებული კომუნალური პრობლემების მოგვარების პროცესში. პრობლემის მოსაგვარებლად გაიმართა სამუშაო შეხვედრები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სამინისტროსა და ქ. თბილისის ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ“-ის ხელმძღვანელობასთან, ასევე ქ.თბილისის საგანგებო სიტუაციების სამსახურის წარმომადგენლებთან. შეხვედრების და მოლაპარაკებების შედეგად განხორციელდა დაზიანებული მილების აღდგენა - შეკეთება, საკანალიზაციო ჭების გაწმენდა და სარდაფში დაგროვილი წყლის მასის ამოტუმბვა;

- 2014 წლის 3 მარტს, დედის დღის დღესასწაულთან დაკავშირებით აფხაზეთის მთავრობის მიერ, აფხაზეთში დაღუპულ და უგზოუკვლოდ დაკარგულ მეომართა დედებს, სულ 30 (ოცდაათ) პირს, გადაეცა ჰუმანიტარული დახმარება (საჩუქრები), რომლის მოძიებაში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტმა;

- 2014 წლის 13 მარტს დეპარტამენტის თავმჯდომარე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სხვა წევრებთან ერთად იმყოფებოდა იმერეთის რეგიონში, კერძოდ ქუთაისში, ხონსა და კოპიტნარში, სადაც გაიმართა მთავრობის გასვლითი სამუშაო სხდომა. შეხვედრაზე განხილულ იქნა დევნილ მოსახლეობაში არსებული საჭირბოროტო საკითხები და დაისახა მათი აღმოფხვრის ღონისძიებათა ნუსხა;

- 2014 წლის 13 მარტს დეპარტამენტის თავმჯდომარე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სხვა წევრებთან ერთად იმყოფებოდა იმერეთის რეგიონში, კერძოდ ქუთაისში, ხონსა და კოპიტნარში, სადაც გაიმართა მთავრობის გასვლითი სამუშაო სხდომა. შეხვედრაზე განხილულ იქნა დევნილ მოსახლეობაში არსებული საჭირბოროტო საკითხები და დაისახა მათი აღმოფხვრის ღონისძიებათა ნუსხა;

- დევნილთა ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებში საკითხის შესწავლის შედეგად, 2014 წლის 5 აპრილს დეპარტამენტის შუამდგომლობის საფუძველზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით თბილისის ზღვაზე (,,ოქროს საწმისი“, ,,ქართლი“, ,,კადეტთა კორპუსები“) მდებარე კომპაქტურ ჩასახლებებში ჩატარდა სამედიცინო პროფილაქტიკური გასინჯვების აქცია, რომლის შედეგად სხვადასხვა სახის გამოკვლევა გაიარა 515 დევნილმა;

- 2014 წლის 17 აპრილს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის აღსანიშნავად, როგორც აფხაზეთში საომარი ქმედებების დროს დაღუპულ და უგზოუკვლიდ დაკარგულ მეომართა დედებს, ასევე აფხაზეთიდან დევნილ მრავალშვილიან დედებს (სულ 40 პირი) გადაეცათ ჰუმანიტარული დახმარება, რომელიც შეგროვილ იქნა დეპარტამენტის მიერ;

- 2014 წლის 19 აპრილს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებით ქ. თბილისი, ლილოს დასახლება, ჭირნახულის ქ. №16 - ში განსახლებულ აფხაზეთიდან დევნილ 13 ოჯახს და ჭირნახულის ქ№10 -ში მცხოვრებ აფხაზი ეროვნების 6 დევნილ ოჯახს, ჰუმანიტარული დახმარების სახით გადაეცა საქველმოქმედო მწარმოებელ ორგანიზაციებთან ურთიერთობის შედეგად დეპარტამენტის მიერ შეგროვილი სააღდგომო ნობათი;
- 2014 წლის აპრილის თვეში, დევნილი ბავშვების საგანმანათლებლო დონის ამაღლებისა და საკომუნიკაციო შესაძლებლობების გაფართოების მიზნით, ქ. თბილისში არსებულ კომპიუტერის შემსწავლელ ცენტრებთან : ,,ტრენინგ ცენტრი NB“, სასწავლო ცენტრი ,,ერთობა“, შპს ,,ბრიტანულ-ქართული აკადემია“, ,,ინტელექტ ცენტრი“, დეპარტამენტის მიერ წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (ორი თვის ვადით). მემორანდუმი ითვალისწინებს 7(შვიდი) დევნილი ბავშვისთვის უსასყიდლოდ კომპიუტერის შემსწავლელი ორთვიანი კურსის გავლას, რომლის დამთავრების შემდეგ ბავშვებს გადაეცემათ სათანადო სერტიფიკატები;
- 2014 წლის 30 აპრილს, დეპარტამენტის თავმჯდომარემ მიიღო მონაწილეობა საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტი ანგარიშში ასახული იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის პრეზენტაციაზე, სადაც სხვა საკითხებთან ერთად, განხილულ იქნა დევნილი მოსახლეობის უფლებრივი მდგომრეობა;
- 2014 წლის 29-30 აპრილს, დეპარტამენტის თავმჯდომარე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენლობის თანამშრომლებთან ერთად, მივლინებით იმყოფებოდა ქვემო ქართლის რეგიონში (ქ. ხაშური, ქარელის რაიონი (აგარის მეურნეობა, ვაშლის მეურნეობა, ბრეთის მეურნეობა), ქ. გორი და ქ. კასპში აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ დევნილთა მართლზომიერ საკუთრებაში არსებულ ობიექტებზედაგროვილი პრობლემების შესასწავლად. ადგილზე მოპოვებული ინფორმაცია გაანალიზების შემდეგ გადაეგზავნა ზემდგომ ორგანოებს;
- 2014 წლის 14 მაისს აფხაზეთის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარე აფხაზეთის მთავრობის სხვა წევრებთან ერთად, იმყოფებოდა ქ. ფოთში, სადაც ჩატარდა ,,ქალაქ ფოთში განსახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა საზოგადოებრივი საბჭო“-ს დამფუძნებელთა კრება სადაც წარმოდგენილ იქნა ზემოთ აღნიშნული საბჭოს სამოქმედო გეგმა და პროგრამა, ასევე არჩეულ იქნა გამგეობის თავმჯდომარე. მთავრობის წევრებმა კრების მსვლელობისას გამოთქვეს თავიანთი აზრი არჩეული საბჭოს შემდგომი მუშაობის თაობაზე;
- 2014 წლის 15-16 მაისს, დეპარტამენტის თანამშრომლები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენლობის თანამშრომლებთან ერთად, მივლინებით იმყოფებოდნენ კახეთის რეგიონში, კერძოდ, ქ. თელავში, გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონებში აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ დევნილთა მართლზომიერ საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე დაგროვილი პრობლემების შესწავლის მიზნით. ადგილზე მოპოვებული ინფორმაცია გაანალიზების შემდეგ გადაეგზავნა ზემდგომ ორგანოებს;
- 2014 წლის 21 მაისს, დეპარტამენტის თანამშრომელი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენლობისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად, იმყოფებოდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, კერძოდ, ქ. ახალციხეში, რუსთაველის ქ. №115, ყოფილი სკოლა-ინტერნატის შენობაში, იქ ჩასახლებულ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა (4 ოჯახი, 17 დევნილი) სოციალურ-ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო პირობების

შესწავლის მიზნით. დევნილებთან შეხვედრის შედეგად, მოგვარებულ იქნა იქ არსებული პრობლემების ნაწილი, ხოლო მოუგვარებელი საკითხების თაობაზე ინფორმაცია მიეწოდა ზემდგომ ორგანოებს;

- 2014 წლის 31 მაისს, დეპარტამენტის ორგანიზებით, ბავშვთადაცვისსაერთაშორისოდღესთანდაკავშირებითაფხაზეთიდანდევნილსოციალურადდაუცველოჯ ახებშიმცხოვრები 50 მოზარდი „ბომბორას" პარკსსტუმრობდა. ბავშვებმა მთაწმინდისპარკიდაათვალიერესდადღისგანმავლობაშიპარკისსხვადასხვაატრაქციონზე უფასოგართობისსაშუალებამიეცათ;

- 2014 წლის 1 ივნისს, ბავშვთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ასევე დეპარტამენტის ორგანიზებით, კინოთეატრ ,,ამირანი"-ს ადმინისტრაციამ 30 დევნილი ბავშვი მიიწვია საბავშვო მულტფილმზე დასასწრებად;

- 2014 წლის 1 ივნისს, ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, აფხაზეთიდან დევნილ 30 ბავშვს მიეცა საშუალება დასწრებოდა სპექტაკლს, სადაც აღნიშნული თეატრის მსახიობებმა ბავშვებს წარუდგინეს სპექტაკლი ,,უფლისწული და მათხოვარი";

- 2014 წლის 6 და 7 ივნისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთობლივად იმყოფებოდნენ ქ. წყალტუბოში სხვადასხვა სანატორიუმში ჩასახლებული აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობასთან შეხვედრაზე, სადაც განიხილეს დევნილებისთვის სამედიცინო პროფილაქტიკური გამოკვლევების ჩატარებისათვის დაკავშირებული ღონისძიებები. ასევე ისინი გაეცნენ დევნილების საცხოვრებელი კორპუსების ტექნიკურ მდგომარეობასა და საყოფაცხოვრებო პირობებს (სანატორიუმი ,,სამგურალი". სანატორიუმი ,,მეტალურგი", სანატორიუმი ,,გეოლოგი" სანატორიუმი ,,მეგობრობა" მე-3, მე-4 კორპუსი,სანატორიუმი ,,საქართველო", სანატორიუმი ,,რკინიგზელი", ყოფილი რაიონული საავადმყოფოს რეაბილიტირებული შენობა). დევნილებთან შეხვედრებისას გაირკვა, რომ თითქმის ყველა დევნილების მიერ ორგანიზებულად ჩასახლებულ ობიექტში არსებობს ნაკლოვანებები და პრობლემები (სახურავი, წყალმომარაგეობა, კანალიზაცია, ელექტროგაყვანილობა, შიდა სარემონტო სამუშაოები და ა .შ.). შემდგომ გაიმართა შეხვედრა წყალტუბოს მუნიციპაალიტეტის გამგეობის ხელმძღვანელობასთან, სადაც დაიგეგმა რიგი ღონისძიებების გატარება არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად. მიღებული ზომების შემდგომ პრობლემების უმეტესი წილი იქნა მოგვარებული;

- 2014 წლის 20 ივნისს, ლტოლვილთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით დეპარტამენტის ორგანიზებითა და რესტორან ,,ვენდი"-ს მხარდაჭერით გაიმართა ღონისძიება, სადაც მიწვეული იყვნენ აფხაზეთიდან დევნილი სოციალურად დაუცველი ბავშვები. მოზარდებ სრესტორანში ჰამბურგერებითა და გამაგრილებელი სასმელებით გაუმასპინძლდნენ. მათთვის სპეციალურად გამოიყო სათამაშო ზონა თანამედროვე სათამაშო მოწყობილობებით, სადაც ბავშვები სასიამოვნოდ გაერთნენ;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასა და ესპანეთის ინტეგრაციისა და სოლიდარობის ფონდ ,,Fინსოლ"-ს შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, 2014 წლის 1 ივლისს სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი 14 ბავშვი (მათ შორის, 12 ბავშვი ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების მოსწავლეა) ორი თვის ვადით, გაიგზავნა დასასვენებლად მოხალისე ოჯახების (წინასწარ შერჩეული) მიწვევით ესპანეთის სამეფოში. იქ ისინი დაეუფლებიან

ესპანურ ენას, გაეცნობიან ქვეყნის კულტურას, დაუმეგობრდებიან თანატოლებს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტმა უზრუნველყო აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად აუცილებელი დოკუმენტაციის მომზადება (პასპორტი, ცნობაჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მშობლების თანხმობა, ცნობა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე განსახლების შესახებ, ბავშვებისთვის ვიზებიდასხვა). აფხაზეთის მთავრობისა და ფონდ ,,FINშOL"-ის წარმომადგენლებმა და მშობლებმა გააცილეს ბავშვები თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან ესპანეთში;

- 2014 წლის 6 ივლისს, ქ. თბილისის მერიისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ერთობლივი პროექტის განხორციელების მიზნით დეპარტამენტის მიერ შერჩეულ იქნა 11 დან -14 წლის ჩათვლით ასაკის 20 (ოცი) აფხაზეთიდაან დევნილი მოზარდი ბავშვი, რომლებიც 2 კვირის ვადით დასასვენებლად გაიგზავნა დაბა ბაკურიანში. დეპარტამენტმა უზრუნველყო აღნიშნულ ბავშვებზე სათანადო დოკუმენტების შეგროვება და ანკეტის შევსება;
- 2014 წლის 15 ივლისს დეპარტამენტის მოხელეები იმყოფებოდნენ კახეთის რეგიონში , ქ. თელავში და გურჯაანის რაიონში სოფელ ბაკურციხეში მდებარე დევნილებისთვის მართლზომიერ სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ კორპუსებში იქ ჩასახლებულ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა საყოფაცხოვრებო პირობებისა და შენობების ტექნიკური მდგომარეობის შესასწავლად (ქ.თელავი. სოხუმის ქუჩა № 4 ყოფილი გვარდიის შენობა; გურჯაანის რაიონი სოფელი ბაკურციხე ყოფილი პროფსასწავლებლის შენობა). აგრეთვე ზემოაღნიშნულ კორპუსებში ჩასახლებულ დევნილებს გადაეცა ჰუმანიტარული დახმარება. დღის ბოლოს გაიმართა სამუშაო შეხვედრა კახეთის რეგიონის ხელმძღვანელობასთან, სადაც დაიგეგმა ღონისძიებები კომპაქტური ჩასახლების ობიექტებში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. მიღებული ზომების შემდგომ პრობლემების უმეტესი წილი იქნა აღმოფხვრილი;

- 2014 წლის 17 ივლისს, ქ. თბილისის მერიისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ერთობლივი პროექტის განხორციელების მიზნით დეპარტამენტის მიერ შერჩეულ იქნა 11 დან -14 წლის ჩათვლით ასაკის 30 (ოცდაათი) აფხაზეთიდაან დევნილი მოზარდი ბავშვი, რომლებიც 2 კვირის ვადით დასასვენებლად გაიგზავნა დაბა ბაკურიანში. დეპარტამენტმა უზრუნველყო აღნიშნულ ბავშვებზე სათანადო დოკუმენტების შეგროვება და ანკეტის შევსება;
- 2014 წლის 26 ივლისს, ქ. თბილისის მერიისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ერთობლივი პროექტის განხორციელების მიზნით დეპარტამენტის მიერ შერჩეულ იქნა 11 დან -14 წლის ჩათვლით ასაკის 30 (ოცდაათი) აფხაზეთიდაან დევნილი მოზარდი ბავშვი, რომლებიც 2 კვირის ვადით დასასვენებლად გაიგზავნა დაბა ბაკურიანში. დეპარტამენტმა უზრუნველყო აღნიშნულ ბავშვებზე სათანადო დოკუმენტების შეგროვება და ანკეტის შევსება;
- 2014 წლის 27 აგვისტოს , მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით შაოსანი დედებისთვის სასაჩუქრე ნაკრების მიწოდებასთან დაკავშირებით , დეპარტამენტმა არსებული რეზერვიდან გამოყო 25 ბოთლი ღვინო და 25 ბოთლი მინერალური წყალი;

- 2014 წლის 2 სექტემბერს , ქ. თბილისის მერიისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ერთობლივი პროექტის განხორციელების მიზნით დეპარტამენტის მიერ შერჩეულ იქნა 11 დან -14 წლის ჩათვლით ასაკის 18 (თვრამეტი) აფხაზეთიდან დევნილი ბავშვი, რომლებიც 2 კვირის ვადით დასასვენებლად გაიგზავნა დაბა ბაკურიანში. დეპარტამენტმა უზრუნველყო აღნიშნულ ბავშვებზე სათანადო დოკუმენტების შეგროვება და ანკეტის შევსება;

- 2014 წლის 10 სექტემბერს დეპარტამენტის თანამშრომლებმა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლის მიზნით იმყოფებოდნენ ქ.თბილისი საბურთალოს რაიონი , ვაშლიჯვარი, გოძიაშვილის ქ. №95-ში მდებარე მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ დევნილთა ჩასახლებაში, სადაც დევნილთა 30 (ოცდაათ) ოჯახს გადაეცა ჰუმანიტარული დახმარება;

- 2014 წლის 15 სექტემბერს დეპარტამენტის თანამშრომლებმა მიულოცეს ახალი სასწავლო წლის დაწყება ქ.თბილისი , ვაშლიჯვარი , მ.გელოვანის ქ №4-ში მდებარე აფხაზეთის მე-2 საჯარო სკოლის პედკოლექტივსა და მოსწავლეებს და გადასცეს სასკოლო დანიშნულების საჩუქრები 19 (ცხრამეტ) დაწყებითი კლასის მოსწავლეს;

- 2014 წლის 15-17 სექტემბერს დეპარტამენტის თანამშრომლები აფხაზეთის მთავრობის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ ქ. რუსთავში იქ არსებული დევნილების ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებში საცხოვრებელი კორპუსების ტექნიკური მდგომარეობისა და დევნილების საყოფაცხოვრებო პირობების შესასწავლად.შეგროვილი მასალა, გაანალიზების შემდგომ , მოხსენებითი ბარათის სახით წარედგინა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს;

– 2014 წლის 25 სექტემბერს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ (ვ. ცანავა), აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელთან (გ. მაღლაკელიძე) და აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელთან (დ. კეკელია) ერთად, მიიღო მონაწილეობა სამუშაო შეხვედრაში საქართველოს ოკუპიურებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილესთან (შ. რეხვიაშვილი) და იმავე სამინისტროს დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსთან (ზ. აბლოთია), სადაც განხილულ იქნა დევნილთა პრობლემების გადაჭრის ხედვა და პრიორიტეტული მიმართულებები . მხარეებმა ქვემო ქართის რეგიონში დევნილთათვის რეაბილიტირებული შენობების მდგომარეობაზე იმსჯელეს, განიხილეს საცხოვრებელი კორპუსების გაზიფიცირების, წყალმომარაგებისა და სახურავების შეკეთების საკითხები. შეხვედრაზე გაჟღერდა წინადადება, როგორც აფხაზეთის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლების დევნილთათვის კრიტერიუმების მიხედვით ბინების განაწილების პროცესში ჩართულობის თაობაზე, ასევესხვადასხვა საკითხებში სამომავლო თანამშრომლობასთან დაკავშირებით;

–2014 წლის 27 სექტემბერს , აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დაგეგმილ ღონისძიებაში – „ დაცემიდან ჯვართამაღლებისკენ “ , დეპარტამენტის თითოეულმა თანამშრომელმა მიიღო აქტიური მონაწილეობა და გარდა ამისა, ცალკეულმა თნამშრომელმა, დავალების შესაბამისად, მოახდინა დევნილების შეტყობინება აღმიშნულ ღონისძიებაზე დასწრებასთან დაკავშირებით (თბილისის ზღვა, წყნეთი, სასტუმრო „ ბახტრიონი ”) და გამოყოფილი ავტობუსებით უზრუნველყო დევნილების ტრანსპორტირება დანიშნულების ადგილზე, ხოლო ღონისძიების დამთავრების შემდეგ – საცხოვრებელ კორპუსამდე.

- 2014 წლის 10 ოქტომბერს აფხაზეთის უსინათლო დ აყრუ-მუნჯთა საზოგადოება „ჰერა“- ს 20 ბავშვს დეპარტამენტის მიერ გადაეცა საჩუქრები;
- 2014 წლის 19 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით, ქ. თბილისი ჩიტაძის ქუჩა #39-ში განსახლებულ დევნილთა 11 ოჯახს და ქ.თბილისი, ჯავახიშვილის ქ.#118, ყოფილი ტურბაზის შენობაშიგანსახლებულ დევნილთა 13 ოჯახს გადაეცა ჰუმანიტარული დახმარება;
- 2014 წლის 20 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით, დაბა კოჯრის საგანგებო სიტუაციების სამსახურის შენობაში დროებით ჩასახლებულ ხვიჩა ჭანტურიას მრავალშვილიან ოჯახს გადაეცა ჰუმანიტარული დახმარება;
- 2014 წლის 6 დეკემბერს კახეთის რეგიონის საგარეჯოს და გურჯაანის რაიონების (ბაკურციხე), ასევე ქ. თელავში ჩასახლებულ დევნილებს აფხაზეთის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ორგანიზებით დევნილებს ჩაუტარდათ უფასო სამედიცინო პროფილაქტიკური გამოკვლევები. დეპარტამენტმა უზრუნველყო აღნიშნული აქციის ხელშეწყობა. კერძოდ, დევნილების შეტყობინება, გამოკვლევებისთვის შესაბამისი ფართის შერჩევა და კეთილმოწყობა;
- 2014 წლის 23 დეკემბერს დეპარტამენტის და არასამთავრობო ორგანიზაცია ,,მრავალეროვანი საქართველო დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისათვის“ ერთობლივი აქციის ფარგლებში, ქ. თბილისი სასტუმრო ,,აკადემიურში“ მცხოვრებ დევნილ ბავშვებს გადეცა საახალწლო საჩუქრები;
- 2014 წლის 23 დეკემბერს დეპარტამენტის ორგანიზებით კინოთატრ ,,ამირანში“ გაიმართა ფილმის ჩვენება, რომელსაც დაესწრო აფხაზეთიდან დევნილი 30 ბავშვი;
- 2014 წლის 27 დეკემბერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოლიდარობის ფონდის და მოძრაობა ,,ვიზრუნოთ ერთმანეთზე“ მიერ ერთობლივად ჩასატარებელი აქციისთვის დეპარტამენტის მიერ გადაცემულ იქნა 100 ბოთლი ცქრიალა ღვინო ,,ბაგრატიონი“, 253 ბოთლი მინერალური წყალი ,,ბორჯომი“ და 100 ბოთლი ლიმონათი ,,ნატახტარი“. იმავე აქციის ფარგლებში 2 უნარშეზღუდულ დევნილს გადაეცა დეპარტამენტის მიერ მოპოვებული 2 ორთოპედიული ეტლი.
- დეპარტამენტმა შეისწავლა და შესაბამისი რეაგირება მოახდინა დეპარტამენტში უშუალოდ შემოსულ და სხვადასხვა დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან განსახილველად გადმოგზავნილ დევნილთა 188 განცხადებაზე;
- დეპარტამენტის მოხელეთა მიერ 2014 წელს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით კონსულტაცია გაეწია 180 - მდე აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირს.

2014 წელს დეპარტამენტის დოკუმენტბრუნვამ შეადგინა 1943 ერთეული (იხილეთ დანართი №2).
საანგარიშო პერიოდში შემოსულია 1397დოკუმენტი, მათ შორის:
- 232 წერილი აფხაზეთის მთავრობიდან;
- 2 წერილი აფხაზეთის ა/ რ უმაღლესი საბჭოდან;
- 56განცხადება მოქალაქეებიდან (უშუალოდ დეპარტამენტში შემოსული);
- 401 აფხაზეთის ა. რ. მთავრობის თავმჯდომარის ბრძანება მატერიალური დახმარების გამოყოფის შესახებ;
- 220შიდა მიმოწერა;
- 184 დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ გამოცემული ბრძანება;
- 82 სხვადასხვა უწყებიდან.

შემოსული კორესპონდენციიდან 188 მიეკუთვნება აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას (მათ შორის: 152 ერთეული გადმოგვეგზავნა აფხაზეთის მთავრობის აპარატიდან, ხოლო 36 ერთეული შემოვიდა უშუალოდ დეპარტამენტში.

დევნილთა განცხადებები თემატიკის მიხედვით იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

ა) საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების შესახებ - 108;
ბ) საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება - 58 ;
გ) მატერიალური დახმარების გაწევის თაობაზე - 6 ;

დ) მიწის ნაკვეთის კერძო საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით - 4 ;
ე) საცხოვრებელ კორპუსში ბუნებრივი აირი მიწოდების სისტემის დამონტაჟება -9
ვ) საცხოვრებელ კორპუსში სარემონტო სამუშაოების ჩატარება -14
ზ) დევნილთა საცხოვრებელი ობიექტის დაკანონება - 1

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტიდან გასულია 548 დოკუმენტი,
მათ შორის:
ა) შუამდგომლობა აფხაზეთის მთავრობის წინაშე
მატერიალური დახმარების გაწევის თაობაზე - 6;
ბ) შუამდგომლობა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა
სამინისტროს წინაშე - 7;
გ) პასუხი დევნილს - 100;
დ) სხვადასხვა სახის დოკუმენტი (ხაზინა, ბანკი,
არასამთავრობო ორგანიზაცია, სახელმწიფო დაწესებულებები და ა. შ.) - 435;

2014 წელს დეპარტამენტის მიერ გამოიცა შემდეგი დოკუმენტები:

- ძირითადი საქმიანობის ამსახველი ბრძანება - 16;
- საკადრო ბრძანება (დანიშვნა-განთავისუფლება, გადაყვანა,
შვებულება) - 168;
- ხელშეკრულება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ - 43;
- ცნობა დეპარტამენტის საჯარო მოხელისათვის სამუშაო ადგილიდან - 22;
- დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ ჩატარებული თათბირის ოქმი - 29
- დეპარტამენტის თავმჯდომარის დავალებით გაკეთდა წერილის პროექტი - 46
- დანიშვნა-გათავისუფლებისა და საკადრო გადაადგილებებთან დაკავშირებით სისტემატურად ივსებოდა დეპარტამენტის საჯარო მოხელეების პირადი საქმეები და შრომის წიგნაკები.
- შრომითი ხელშეკრულების პროექტი - 54

გარდა ამისა, 2014 წელს დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ იქნა კონკურსი ჰუმანიტარული დახმარების განყოფილების მთავარი სპეციალისტის და ადმინისტრაციული განყოფილების მთავარი

სპეციალისტის თანამდებობების დასაკავებლად, რომლის მომზადებასა და ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო დეპარტამენტის თითოეულმა თანამშრომელმა. შეიქმნა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისია, რომლის შემადგენლობაში არიან, როგორც დეპარტამენტის თანამშრომლები, ასევე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კონკურსი ჩატარდა სამ ეტაპად: 1) აპლიკაციების შევსება/ გადარჩევა; 2) ტესტირება; 3)გასაუბრება.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე თანამდებობის დასაკავებლად, პირველ შემთხვევაში, სულ შემოვიდა 226 განაცხადი (აპლიკაცია) აქედან 66 არ ჰქონდა ატვირთული ვებ გვერდზე უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) ასლი, ხოლო ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის მეორე ეტაპში მონაწილეობის მისაღებად დაბარებული, 160 კონკურსანტიდან ტესტირება ჩაუტარდა 89 კონკურსანტს, მათგან 4 გადალახა დაწესებული ბარიერი და მონაწილეობა მიიღო კონკურსის მესამე ეტაპზე, აქედან გასაუბრების შემდგომ, კომისიის წევრების მიერ ჩატარებული კენჭისყრის შედეგად გამოვლინდა ვაკანტური ადგილის დაკავების კანდიდატი (კ.ჯიქია), რომელიც დასანიშნად წარედგინა დეპარტამენტის თავმჯდომარეს.

მეორე შემთხვევაში კი შემოვიდა 82 განაცხადი, აქიდან 5 აპლიკანტს არ ჰქონდა ატვირთული ვებ გვერდზე უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. შესაბამისად ტესტირებაზე დაშვებულ იქნა 77 აპლიკანტი, ტესტირებაზე გამოცხადდა და რეგისტრაცია გაიარა 41 კონკურსანტმა, აქიდან მხოლოდ ორმა დააგროვა გამსვლელი ქულა. აღნიშნული კონკურსის შედეგების გათვალისწინებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტში არსებული ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე შეირჩა და დაინიშნა ლეილა აბსანძე.

2014 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ბიუჯეტის მონაცემებით ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა584642 ლარი.

მათ შორის :

- თანამდებობრივი სარგო - 315286 ლარი;
- პრემია - 38611 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 48430 ლარი;
- მივლინება სულ - 2885 ლარი;

მათ შორის:

მივლინება ქვეყნის შიგნით - 1245 ლარი;

მივლინება ქვეყნის გარეთ - 1640 ლარი;

-ოფისის ხარჯმა შეადგინა - 30711 ლარი;

მათ შორის:

- საკანცელარიო ხარჯი - 1631 ლარი;
- ელექტროენერგიის ხარჯი - 9943 ლარი;

- წყლის ხარჯი - 717 ლარი;
- დასუფთავების ხარჯი - 840 ლარი;
- საოფისე ინვენტარის შეძენა - 1316 ლარი;
- კავშირგაბმულობის ხარჯი - 4874 ლარი;
- ტიტულიანი ბლანკების დაბეჭდვა - 984 ლარი;
- კომპიუტერული ტექნიკის შეკეთება - 1075 ლარი;
- კომპიუტერული ტექნიკის შეძენა - 2090 ლარი;
- კარტრიჯების დატენვა - 575 ლარი;
- საფოსტო ხარჯი - 237 ლარი;
- ოფისის მიმდინარე რემონტი - 4500 ლარი;
- ოფისისთვის საჭირო მასალების შეძენა - 1113 ლარი;
- სანიტარული დანიშნულების საგნების შეძენა - 300 ლარი.
- სხვადასხვა ხარჯი - 516ლარი

– ტრანსპორტის შენახვისა და მოვლის ხარჯმა შეადგინა 19972ლარი

მათ შორის:

ა) საწვავი - 14014 ლარი;
ბ)ავტომანქანების მიმდინარე რემონტი - 1230 ლარი;
გ) ავტომანქანების სათადარიგო ნაწილები - 3730 ლარი;
დ) ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი - 998 ლარი

– რბილი ინვენტარის შეძენა (ფანჯრის ჟალუზები) - 2000 ლარი

– მუხლში ,,სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ ხარჯმა შეადგინა 6384 ლარი.

მათ შორის:

ა) ესპანეთში მოხალისე ოჯახებში აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების გამგზავრებასთან დაკავშირებული ხარჯი(აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან) 4274 ლარი

ბ) ბანკის მომსახურების % -მა შეადგინა - 530 ლარი;

გ) შენობა - ნაგებობების დაცვის ხარჯი - 1580 ლარი.

- სხვა ხარჯი (აფხაზეთის მთავრობის სარეზერზო ფონდიდან) - 4940 ლარი

- სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან, სულ გახარჯულია - 108002 ლარი
მათ შორის:

ა) აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა და მატერიალური დახმარების სახით გაიცა 413 ოჯახზე მატერიალური დახმარების სახითთანხა 106217 ლარის ოდენობით;

ბ) დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება - 1785 ლარი.

- არაფინანსური აქტივებიდან გახარჯულია 7420 ლარი (შეძენილია კომპიუტერი 6 ცალი, კონდინციონერი - 1ცალი, პრინტერი 1 ცალი).

ამჟამად დეპარტამენტი ახორციელებს საორგანიზაციო ქმედებებს იმ მიზნით, რომ უახლოეს მომავალში შეიქმნას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო სერვერი, რომელზეც განთავსდება მთავრობაში შემავალი სტრუქტურულ შენაერთებში არსებული პროგრამები, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებზე სხვადასხვა პერიოდში მოპოვებული და დღეისათვის არსებული ინფორმაცია, რომლის დამუშავებისა და გაანალიზების შემდეგ შეიქმნება აფხაზეთიდან დევნილთა მონაცემთა ბაზა (მუდმივ რეჟიმში განახლებადი), რაც მისცემს, როგორც აფხაზეთის მთავრობის აპარატს, ასევე მთავრობის სტრუქტურულ შენაერთებს საშუალებას აწარმოოს რეგისტრირებული დევნილების იდენტიფიცირება, დემოგრაფიული მონაცემების მოპოვება, მიგრაციული პროცესის ანალიზი და ა. შ. აღნიშნული სერვერის მართვასა და ადმინისტრირებას მთლიანად უზრუნველყოფს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი. გარდა ამისა, სამომავლოდ, იგეგმება დეპარტამენტის სტრუქტურული შენაერთების გადახედვა, საჭიროების შემთხვევაში მათი გადახალისება, რაც ჩვენი აზრით, უფრო ეფექტურსა და მოქნილს გახდის დეპარტამენტის ფუნქციონირებას.

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობის მიერ 2014 წელს გატარებული ღონისძიებების ნუსხა:

- გასული 2014 წლის განმავლობაში, შესწავლილ იქნა რეგიონში განთავსებული 711 ობიექტი, მათ შორის 600 ქ. თბილისში, 111 აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.
- აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებ 300-მდე დევნილს გაეწია სამართლებრივი ხასიათის კონსულტაციები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. (დაბადების მოწმობის აღდგენა,

სტაჟის დადგენა, პირადობის მოწმობის აღება, მოქალაქეობის მიღება/აღდგენა, დევნილის სტატუსის მინიჭება/აღდგენა და სხვა).

- წარმომადგენლობის მონაწილეობით მოეწყო სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ვ. სანაევის ტურნირის ორგანიზება მძლეოსნობაში;
- ჰუმანიტარული დახმარება გაეწიათ ცხვარიჭამიაში დევნილთა დასახლება ,,სიჭაბუკე''-ში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილებს, მათ გადაეცათ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს(,,USAID''-ი) მიერ გადმოცემული საკვები პროდუქტი. იგივე პროდუქტი გადაეცათ თბილისის ზღვაზე სანატორიუმ ,,ქართლში'' განსახლებულ დევნილებს.
- საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის დახმარებით, ქ.თბილისის 173-ე საჯარო სკოლის 73დევნილ მოსწავლეს,პირველიდან მესამე კლასის ჩათვლით, საჩუქრად გადაეცათ სასკოლო ნივთები.
- არასამთავრობო ორგანიზაცია ,,კავკასიის სინერგია''-ს ინიციატივით, ორგანიზება გაეწია ქ. რუსთავში განსახლებულ, სოციალურად დაუცველი,დევნილი ოჯახების ბავშვების უფასო დასწრებას ფილმის ჩვენებაზე კინოთეატრ „რუსთაველში“. ანალოგიური ღონისძიება განხორციელდა ქ. თბილისში განსახლებული 30 დევნილი ბავშვისათვის.
- წარმომადგენლობა მონაწილეობდა ჰუმანიტარულ აქციებში, რომლებიც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ განახორციელა აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში - ქ. თბილისში განსახლებულ აფხაზური ეთნოსის დევნილი ოჯახების ბავშვებს გადაეცათ ყუთები, რომლებშიც მოთავსებული იყო სათამაშოები, ჰიგიენური საშუალებები, სასწავლო ნივთები ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით. ანალოგიური აქციაგანხორციელდა ქ. ბორჯომში.
- წარმომადგენლობის მხრიდან,270-მდე დევნილს გაეწია შუამდგომლობა სხავადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში, მკურნალობის ხელშეწყობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, ქალაქ თბილისის მერიისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინაშე.
- წარმომადგენლობის სპეციალისტების მიერ მოძიებული და მოპოვებულ იქნა 2 (ორი) ერთეული მეორადი ინვალიდის ეტლი, რომელიც გადაეცათ შეზღუდული შესაძლებლობის პირებს.
- წარმომადგენლობის ხელმძღვანელობის ინიციატივით, ჩატარდა 300 დევნილი ბავშვის დასწრება უფასო კონცერტზე, მათ გადაეცათ ყუთები სათამაშოებით, ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით. ღონისძიება ჩატარდა,,საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის'' თანადგომით.
- წარმომადგენლობის უშუალო ჩარევითა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წინაშე არაერთგზის დაყენებული შუამდგომლობის შედეგად, მოხერხდა რამოდენიმე ჩასახლებული ობიექტის ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტა, კერძოდ:

- ქ. ბორჯომში, სანატორიუმ ,,ბორჯომში'' წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების შეკეთება, სამუშაოების შესრულებაში დასაქმებულნი იყვნენ იქ განსახლებული აფხაზეთიდან დევნილები;
- ვაზიანის დასახლებაში, ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის სახურავის დროებითი გადახურვა;
- ახალციხეში, რუსთაველის ქ. N113ა,ყოფილი სკოლა-ინტერნატის შენობაში, სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება;

- ქ. თბილისში ტურბაზა ,,დიღომში'' ელექტრო გამრიცხველიანებისა და ეზოს განათების მონტაჟი;
- ქ. თბილისში, ჭირნახულის ქ.N10-ში მდებარე შენობის წყალმომარაგების მაგისტრალის შეკეთება;
- ქ. თბილისში, ასკურავას ქ.N1-ში მდებარე ობიექტის დასმენადაქვეითებულთა ინტერნატის, გლდანში, ფორე მოსულიშვილის ქუჩაზე განთავსებულ დევნილთა საცხოვრებელი ობიექტების, ასევე, სასტუმრო ,,მეგობრობის'' გაზიფიცირებისათვის საჭიროსაპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების განხორციელება;
- გლდანის პედაგოგიური კოლეჯის შენობაში წყლის მილების შეცვლის სამუშაოები;
- ბაგებში მდებარე„სტუდქალაქში“ 2 მაღლივი კორპუსის ლიფტების რეაბილიტაცია და ექსპლუატაციაში გაშვება, ასევე ამორტიზებული 2 ლიფტის რეაბილიტაცია სტუ-ს ს/საცხოვრებლის მაღლივ კორპუსებში:
- დიღმის მასივში, ლოკომოტივის სტადიონის დასახლებაში საცხოვრებელი კორპუსის სახურავის შეკეთება;
- ქ. რუსთავში, ყოფილი პოლიტექნიკური ინსტიტუტის საცხოვრებლად რეაბილიტირებულ და დევნილი ოჯახებით შესახლებული კორპუსების გაზიფიცირება.
- 2014 წლის 1 იანვრიდან – 30 დეკემბრის ჩათვლით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენის და/ან ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები – პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილ პირთა საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიაზე სულ შემოვიდა 431 განცხადება. შემოსული განცხადებიდან დადებითად გადაწყდა 412 განცხადება, ხოლო უარი ეთქვა 19 მოქალაქეს.
- აფხაზეთის ა/რ რაიონებსა და ქალაქების მიხედვით აღნიშნულ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში ჩასახლებულ დევნილებზე გაცემულ ცნობათა რაოდენობა არის 2432.
- საანგარიშო პერიოდში სულ შემოსულია 2220, ხოლო გასულია 1790 კორესპოდენცია

იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის მიერ 2014 წელს გატარებული ღონისძიებების ნუსხა:

- წარმომადგენლობა აქტიურად თანამშრომლობდა რეგიონში მოქმედ საერთაშორისო და
- ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. პერიოდულად ეწყობა საქმიანი შეხვედრები ისეთ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, როგორიცაა:

  - ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალი
- მარტში საიას ქუთაისი ფილიალში მოეწყო მრგვალი მაგიდა „დევნილთა პრობლემების გადაჭრის ინოვაციური გზების ძიება", სადაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ როგორც დევნილი, ასევე ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლები და არასამთავრობო სექტორი. „საია“-მ განახორციელა გასვლითი საკონსულტაციო შეხვედრები დევნილებთან ხონის, სამტრედიისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების 8 დიდ ობიექტში.

- ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალი

- საქმიანობის დაწყებისათვის ბიზნეს კონსულტაციები მიიღო 26-მა დევნილმა დამწყებმა მეწარმემ.

- ა/ო პედაგოგთა კავშირი განათლება და სამყარო

- პროექტი „ქართველი და აფხაზი მოსწავლე ახალგაზრდების სამშვიდობო განათლება ნდობის აღდგენისათვის“ - ფინანსური მხარდამჭერი: ევროკავშირი, გაეროს განვითარების პროგრამა და „კობერმი“. პროექტი ითვალისწინებს ქართული მხრიდან 10 (ქუთაისი, სენაკი და ზუგდიდი) და აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტირიაზე 6 სკოლის 216 (108-108) მოსწავლისათვის საგანმანათლებლო აქტივობებს. აფხაზური ენის სწავლების ორ ცენტრში სწავლობს 40 მოზარდი.

ფონდი „სოხუმი“ და „ მეწარმე ქალთა“ ფონდი

- ეს ორი ორგანიზაცია ახორციელებს პროექტებს, რომელიც ითვალისწინებს დევნილი ქალბატონების უფასოდ მომზადება-გადამზადებას ინგლისურსა და საოფისე საქმეში, ასევე კომპიუტერის სწავლებას; ამჟამად კვალიფიკაციას იმაღლებს 10-ზე მეტი დევნილი.

- დევნილთა საკითხებზე მომუშავე ა/ო-თა ქსელი „სინერგია“

- სინერგიის ქსელის („საია“-ს ქუთაისის ფილიალი და ფონდი „აფხაზინტერკონტი“) დახმარებით მოხერხდა 10 კომპაქტური ჩასახლებისათვის ე.წ "წითელი ზოლების" (შენობაზე დასამაგრეებლი სავალდებულო მიწის ნაკვეთის) განსაზღვრა.
- ზესტაფონში საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ცენტრ"აფხაზეთი"-ს მიერ განხორციელებულიპროექტის„ამხანაგობების შექმნა და განვითარების" ფარგლებში, ორმა ამხანაგობამ - „სოხუმი“ და„შუქურა“საჩუქრად სამშენებლო ინსტრუმენტები მიიღო.საჩუქრადმიღებული სამშენებლო იარაღებით ამხანაგობებს შეუძლიათ პერიოდულად შეამოწმონ და შეაკეთონ თავიანთი საცხოვრებელი.ასევე, მათ უფლება აქვთ სამშენებლო ინსტრუმენტები მიაქირაონ მოვლა-ექსპლოატაციის ჯგუფს და მიიღონ გარკვეული შემოსავალი ამხანაგობის ფონდში.
- თერჯოლის, ყოფილ საავადმყოფოს შენობაში (რუსთაველის #69, 44 ოჯახი, 136 სული.)მცხოვრებმა დევნილებმა 2014 წლის ზაფხულშიამხანაგობა „საპოვნელა“ ჩამოაყალიბეს. 23 სექტემბერს საქველმოქმედოჰუმანიტარულმა ცენტრმა „აფხაზეთმა“ მათ საჩუქრად სამშენებლოინსტრუმენტები გადასცა NEO/USAID ფინანსური მხარდაჭერით. ამხანაგობა „საპოვნელაში“ დევნილებს უკვე აქვთ ჩამოყალიბებული მოვლა-ექსპლოატაციის ჯგუფი, რომელმაც საერთო ქონების მოვლა-ექსპლოატაციის წესებზე და რეგულაციებზე პროფესიული განვითარების ტრენინგები გაიარა.

- აფხაზეთის ა/რ-ის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მაძიებელი) პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენის და/ან ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და აფხაზეთის ა/რ-ის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები – პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილ პირთა საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის მიერ მიღებულ იქნა 178 განცხადება, აქედან დადებითი დასკვნა გაიცა - 158, უარი ეთქვა - 10-ს, ადმინისტრაციულ წარმოებაშია- 9,1 საქმეზე შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე.
- სამოქმედო რეგიონში წარმომადგენლობის გასვლითი ღონისძიებების დროს გამოვლენილი პრობლემების შესწავალა-ანალიზის შედეგად, კომპეტენციისა და მის ხელთ არსებული ორგანიზაციული რესურსების გათვალისწინებით მოახერხდა რიგი საკითხების გადაწვეტა. კერძოდ:

- ბათუმში დასრულდა ხახულის ქუჩაზე მდებარე ყოფილი ტექნიკური სკოლის შენობაში განთავსებული დევნილი ოჯახების გაზიფიცირების სამუშაოები.
- ანალოგიურად ითხოვს გაზიფიცირების საკითხის მოგვარებას ქ. ბათუმში, ლეონიძის ქუჩაზე
- მდებარე, ყოფილი მექანიკური ქარხნის დამხმარე შენობაში განთავსებული ოჯახები. საკითხის
- გადაწყვეტა „სოკარ ჯორჯია“-სთან მოლაპარაკებებით უნდა განხორციელებულიყო განვადებით,
- თუმცა ტექნიკური სკოლის დაქსელვის ხარჯების ლტოლვილთა სამინისტროს მიერ გაღებამ
- დღის წესრიგში დააყენა ამ კორპუსის დაქსელვისათვის საჭირო თანხების სამინისტროს მიერ
- გამოყოფის საკითხი. ამ მიზნით მოსახლეობამ მიმართა სამინისტროს განცხადებით, „სოკარ
- ჯორჯია“-ს მიერაც არის აღძრული შუამდგომლობა და სამინისტროდან არის დაპირება, რომ
- წლის ბოლოსთვის სამუშაოები დაფინანსდებოდა, ამჟამად ჩატარდა მხოლოდ წინასწარი
- აზომვითი სამუშაოები.
- გადაწყდა დაბა ჩაქვში მდებარე ყოფილი საშუალო სკოლის შენობის გაზით მომარაგების
- საკითხიც და ამჟამად ობიექტს გაზი მიეწოდება შეუფერხებლად.
- აჭარის რეგიონში დაიწყო რეაბილიტირებული საცხოვრებელი კორპუსების დაკანონების
- პროცესი. ქობულეთში ამჟამად ყოფილ #7 სკოლის 3კორპუსში49ბინიდან დაკანონდა39ბინა, 2
- ოჯახმა უარი განაცხადა ფართის დაკანონებაზე სხვადასხვა მიზეზების გამო. ერთი ოჯახის
- სრულწლოვანი წევრი საზღვარგარეთ იმყოფებოდა და არც მინდობილობა ჰქონდა, ამ მიზეზით
- ამ ეტაპზე უარი ეთქვა. ხოლონდევნილთა ოჯახის საკითხი არსებული ინფორმაციით,
- გადაწყდება ინდივიდუალურად. ანალოგიური მიდგომაა ყოფილ სანეპიდსადგურში მცხოვრებ
- დევნილებთან მიმართებაში. 30ბინიდან ამ ეტაპზე დაკანონებულია22ბინა, ხოლო4 ოჯახის
- საკითხი გადაწყდება ინდივიდუალური მიდგომით.ქობულეთის მუნიციპალიტეტის4
- კომპაქტურად ჩასახლებული ობიექტებიდან მხოლოდ ორი ობიექტი მოხდა დაკანონების
- ნუსხაში. ამ ეტაპზე ვერ მოხვდნენ ქ.ქობულეთში, რუსთაველის ქ.#137ყოფილი სასაზღვრო
- ჯარების შენობადა დაბა ჩაქვშიყოფილი სკოლის შენობა. როგორც ირკვევა აღნიშნული
- ობიექტების დაკანონება მოხდება ეტაპობრივად. ანალოგიური მდგომარეობაა ბათუმის
- მუნიციპალიტეტშიც.

- იმერეთის რეგიონში მიმდინარეობს დევნილთა კომპაქტური ჩასახლებების ნაწილობრივი რეაბილიტაცია. ექსპლუატაციაში ჩაბარებულია 15 შენობა.
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 4 ობიექტს - სანატორიუმები „ინტურისტი“, „სამგურალი“, „მეტალურგი“ და „წყალტუბო“ ჩაუტარდება სახურავების შეკეთება და სასმელი წყლისა და საკანალიზაციო ქსელების რეაბილიტაცია; ხოლო საავადმყოფოს შენობაში შეყვანილი იქნება ბუნებრივი აირი. ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით აღნიშნული სამუშაოების დაწყება ნავარაუდევია 2015 წლის იანვრიდან.
- წარმომადგენლობის ადგილობრივ მუნიციპალურ სამსახურებთან და მუნიციპალიტეტების
- ხელმძღვანელობასთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად:

- წყალტუბოსმუნციპალიტეტისგამგეობამ, რთულიქირურგიულიოპერაციებისთვისდახმარება გაუწია 142 დევნილს, ჯამში სამედიცინო დახმარების თანხამ შედგინა 159 498 ლარი.
- ცაგერის რაიონში მცხოვრებ დევნილს ბესიკ ჩაკვეტაძეს, გაუკეთდა გულის ოპერაცია. ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ ჩარიცხულ იქნა 1000 ლარი. ასევე ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 5 სხვადასხვა ოჯახს 150 ლარის ოდენობით. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში გადაგზანილია 12 ოჯახის სია სახნავ -სათესი ვაუჩერის მისაღებად.
- ოზურგეთის გამგეობის მიერ სათბობი შეშის შესაძენად 26 ოჯახზე გაცემულია 5200 ლარი, თითეულზე 200 ლარის ოდენობით.
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ შეშის შესაძენად 18 ოჯახზე გაცემულია 3600 ლარი (თითოეულზე 200 ლარი).
- განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა და მთავრობის წევრთა რეგიონში ვიზიტებისას დაჩქარდა მთელი რიგი პრობლემების მოგვარება. კერძოდ:

  - ხონისა და კოპიტნარის სამხედრო დასახლებებში დასრულდა დევნილი ოჯახებისათვის გადაცემული, რეაბილიტირებული საცხოვრებელი ბინების დაკანონების წინასწარი სამუშაოები.
  - ხონის სამხედრო დასახლებაში დასრულდა საცხოვრებელი კორპუსების გაზიფიცირება. მიმდინარეობს ქსელის ექსპლუატაციაში ჩართვის სამუშაოები. კერძოდ, მომხმარებლების აბონენტებად დარეგისტრირება. სამწუხაროდ, ყველა აბონენეტი ვერ ისარგებლებს ბუნებრივი აირით, რადგან მათ არ გააჩნიათ შესაბამისი საყოფაცხოვრებო მოწყობილობები (გაზქურები, წყლისა და ჰაერის გამათბობლები).
  - წყალტუბოში სანატორიუმი „საქართველო“ გადაყვანილია 24 საათიან წყალმომარაგების რეჟიმზე, რისთვისაც გაყვანილი იქნა 60 მეტრის ახალი მილსადენი; მოგვარდა ამავე სანატორიუმის მიმდებარე ტერიტორიის დატბორვის პრობლემაც და დაიდგა დამატებითი კონტეინერი საოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის;
  - სანატორიუმ „მეგობრობაში“ მთლიანად შეიცვალა ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემასთან დამაერთებელი, კორპუსიდან გამომავალი ხაზი. ასევე შეკეთდა სასმელი წყლის მიწოდების გარე სისტემა, შეიცვალა 800 მეტრის ელექტრო კაბელი;

- სანატორიუმ „აია“-ში, სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით, შეიცვალა 50 მეტრი სიგრძის სამელი წყლის მილსადენი;
- ფეკალური მასები ამოიტუმბა სანატორიუმებში „გეოლოგი“-32 ტონა, „მეტალურგში“-20 ტონა, „გელათში“-8 ტონა,
- აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ სათამაშოები გადასცა კოპიტნარის სამხედრო დასახლებაში არსებულ საბავშვო ბაღს, ასევე კონსულტაციები ჩაუტარდა ხონისა და კოპიტნარის სამხედრო დასახლებებში არსებული სკოლების პედაგოგებსა და მოსწავლეებს, მოსწავლეებს ასევე საჩუქრად გადაეცათ სასკოლო ნივთები.
- მნიშვნელოვანი და სოციალურად ეფექტური იყო ხონის, კოპიტნარის დასახლებებსა და წყალტუბოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებული, გასვლითი სამედიცინო აქცია, რომელიც ითვალისწინებდა აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში მცხოვრები დევნილი მოსახლეობის უფასო სამედიცინო გასინჯვებსა და მედიკამენტებით უზრუნველყოფას. აქციაზე განხორციელდა 2300-ზე მეტი ვიზიტი ექიმებთან, 50-ზე მეტ მწოლიარე ავადმყოფს ჩაუტარდა გამოკვლევა ბინაზე გასვლით, გაიცა 7000 ლარზე მეტი ღირებულების მედიკამენტები და 25 შემწოვი ქვეშაგი ჰუმანიტარული პაკეტიდან. ანალოგიური აქცია განხორციელდა ქ. ბათუმსა და ქობულეთშიც. აქ სამედიცინო შემოწმება გაიარა 700-მდე დევნილმა და მათ უფასოდ გადაეცათ 17000 ლარის ღირებულების 150 დასახელების მედიკამენტი.
- წარმომადგენლობის შუამდგომლობით, ქ. ქუთაისის მერიამ დადებითად გადაწყვიტა სოხუმის #5 საჯარო სკოლის დაზიანებული გათბობის სისტემის რეაბილიტირების საკითხი. კერძოდ, სკოლის ანგარიშზე გადაირიცხა შესაბამისი თანხა საჭირო მასალების შესაძენად, ხოლო აღდგენითი სამუშაოები შესრულდა სკოლის ძალებით.
- წარმომადგენლობის აპარატში შემოსულია 340, ხოლო გასულია 284 კორესპოდენცია. რაც შეეხება მოქალაქეთა მომართვიანობას, საანგარიშო პერიოდში სულ დარეგისტრირდა 289 განცხადება. გაიცა სხვადასხვა სახის 453 ცნობა.
- სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
- მთავრობის წარმომადგენლობის მიერ 2014 წელს გატარებული ღონისძიებების ნუსხა:
- წარმომადგენლობა აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან დევნილთა პრობლემების მოგვარების კუთხით. კერძოდ:
- ,,ენერგო პრო ჯორჯია“-ს დახმარებით დევნილთა კომპაქტური ჩასახლების
- ობიექტში ,,ზდუ“-ს I კორპუსში მოწესრიგდა ელექტროგაყვანილობის სიტემები.
- წარმომადგენლობის ძალისხმევითა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
- დახმარებით, ზუგდიდის რაიონის სოფ. ზედაეწერში დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტში შეკეთებული იქნა სახურავი.
- წარმომადგენლობის ინიციატივითა და შუამდგომლობით, მარტვილის რაიონში ყოფილი ინტერნატის შენობაში სადაც ცხოვრობს 120-მდე აფხაზეთიდან დევნილი, გაკეთდა გარე-განათება, მოასფალტირებული იქნა მისასვლელი გზა და დაყენებული იქნა ჭაბურღილის ელექტროენერგიის მრიცხველი.
- ქალაქ ზუგდიდში, ა. ხელაიას ქუჩა №-3 მდებარე დევნილთა კომპაქტური ჩასახლების
- ობიექტში წარმომადგენლობის ძალისხმევითა და ადგილობრივითვითმმართველობის

- წარმომადგენლების დახმარებით, მოხდა სასმელი წყლისგამანაწილებელი ონკანის შეკეთება.
- ზუგდიდის რაიონის სოფ. ორულუში მდებარე დევნილთა კომპაქტური
- ჩასახლების ობიექტში ,,საქმიანი ეზო“ არსებობდა სასმელი წყლის პრობლემა,
- დევნილები წყალს ეზიდებოდნენ მიმდებარე სახლებიდან. ობიექტის ეზოში არსებული ჭა
- საჭიროებდა ამოწმენდას, რაც წარმომადგენლობის თანამშრომელთა ძალისხმევით
- მოგვარებულ იქნა.
- ზუგდიდის რაიონის სოფ. ინგირში, ყოფილი ტექნიკუმის შენობის სარდაფში
- გროვდებოდა ნაწვიმარი წყალი, რაც გარკვეულწილად პრობლემებს უქმნიდა იქ
- მცხოვრებ დევნილებს. წარმომადგენლობის ძალისხმევითა და ადგილობრივ
- თვითმმართველობის წარმომადგენლების დახმარებით, შენობის წინა მხარეს იქნა
- გათხრილი წყალსაწრეტი არხი, რითაც მოგვარებულ იქნა აღნიშნული პრობლემა.
- ქ. ზუგდიდში, კოსტავას ქუჩა №30-ში მდებარე ყოფილ რაიონული საავადმყოფოს შენობაში, ინდივიდუალურ გამრიცხველიანებასთან დაკავშირებით, აუცილებელი გახდა ამ ობიექტზე არსებული წყლის საქაჩი ტუმბოსთვის ცალკე მრიცხველის დამონტაჟება, რისთვისაც ,,ენერგო პრო ჯორჯიის“ ზუგდიდის წარმომადგენლობისგან აუცილებელი მოთხოვნა იყო, შპს ,,ბლოკჯორჯიას“ წარმომადგენლების თანხმობა მრიცხველის დამონტაჟებასთან დაკავშირებით, რაც წარმომადგენლობის ძალისხმევით მიღწეული იქნა და მოხდა ობიექტზე წყალსაქაჩი ტუმბოსთვის მრიცხველის დაყენება.
- ქ. ზუგდიდში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე ყოფილი საბავშვო ბაღის შენობაში იყო
- გაუმართავი მრიცხველი, რის გამოც ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა დევნილ ოჯახებს,
- წარმომადგენლობის ძალისხმევითა და შუამდგომლობით, არსებული პრობლემა
- გამოსწორებულ იქნა და დევნილებს აღუდგათ ელექტროენერგიის მიწოდება.
- წარმომადგენლობამ დახმარება გაუწია გუდაუთის მკვიდრს, ეროვნებით აფხაზს,
- საიდა სმირს პირადობის მოწმობის აღებაში. ასევე, მოძიებულ იქნა მისთვის და მისი
- მცირეწლოვანი შვილისთვის დროებითი თავშესაფარი. წარმომადგენლობის თანამშრომლები
- საკუთარი სახსრებით ამარაგებდნენ საკვები პროდუქტებითა და პირველადი მოხმარების
- ჰიგიენის საგნებით.
- ქალაქ ზუგდიდში, სოხუმის ქუჩა №2-ში მდებარე დევნილთა კომპაქტური
- ჩასახლების ობიექტის ეზოში ამოწმენდილი იქნა არსებული ჭა და იქ მცხოვრებ
- დევნილებს მიეწოდებათ სასმელი წყალი.
- წარმომადგენლობის ძალისხმევით, ქალაქ ზუგდიდში, დემურიას ქუჩა №1-ში მდებარე დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტის ეზოში, გამოცვლილ იქნა არსებული ჭაბურღილის წყალსაქაჩის მილი (12 მეტრი) და დევნილებს აღუდგათ სასმელი წყლისმიწოდება.
- წარმომადგენლობის ძალისხმევით, ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიაში
- მდებარე დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტების (8 კოტეჯი) სახურავი იქნა შეკეთებული.
- ქ.ჯვარში, კორტავას ქუჩა №26-ში მცხოვრებ დევნილებს გაეწიათ შუამდგომლობა
- ადგილობრივი თვითმმართველობის წინაშე კომპაქტური ჩასახლების ობიექტის ეზოს
- კეთილმოწყობასთან დაკავშირებით, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ იქნა შესრულებული.

- ქ. ჯვარში, აფხაზეთიდან დევნილთა პოლიკლინიკის ხელმძღვანელისა და წარმომადგენლობის ძალისხმევით ,,აშშ საერთაშორისო განვითარების ფონდს“ გაეგზავნა საშუამდგომლო წერილი, რათა აფხაზეთიდან დევნილ, ბავშვობიდან ინვალიდ ლუარა ლამანძიას მიეღო სპეციალური ეტლი. აღნიშნული თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა და აფხაზეთიდან დევნილ ლ. ლამანძიას გადაეცა ინვალიდის ეტლი.
- ქ. სენაკში, სამხედრო ქალაქის 85-ე, 86-ე, 199-ე, 200-ე და 202-ე კორპუსების
- სარდაფები წყლით იყო სავსე, წარმომადგენლობის თხოვნითა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დახმარებით, კორპუსებიდან ამოტუმბული იქნა წყალი.
- ქ. სენაკში, ყოფილი 139-ე პროფსასწავლებლის მე-2 კორპუსის სადარბაზოს სარდაფი წყლით იყო სავსე, წარმომადგენლობის შუამდგომლობით და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დახმარებით გაითხარა 60 მეტრამდე არხი, ჩაიდო 20 მეტრამდე მილი და შენობის სარდაფში დაგროვილ წყალს მიეცა გადინების საშუალება, რამაც პრობლემა მოაგვარა.
- ქ. სენაკში, მე-3 ბაგა-ბაღის შენობას წარმომადგენლობის რეკომენდაციით და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ძალისხმევით გამოეცვალა დაზიანებული სახურავი.
- აბაშის რაიონში, ყოფილი რუსული სკოლის შენობაში გაუმართავი იყო საკანალიზაციო სისტემა, წარმომადგენლობის თხოვნითა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დახმარებით პრობლემა მოგვარებულია.
- აბაშის რაიონში, ყოფილი ტექნიკუმის პირველ და მეორე კორპუსში გაუმართავი იყო საკანალიზაციო სისტემა, წარმომადგენლობის და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დახმარებით პრობლემა მოგვარებულია.
- აბაშის რაიონის სოფ. გეზათში, ყოფილი ამბულატორიის შენობის სარდაფი სავსე იყო წყლით, წარმომადგენლობის შუამდგომლობით და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დახმარებით, პრობლემა მოგვარებულია.
- წარმომადგენლობის თანამშრომრომლების ინიციატივით და მონდომებით, აფხაზეთიდან დევნილ 3 მრავალშვილიან ოჯახს სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო დასაოჯახონივთები, სურსათი.
- ჯვარში, დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტებში (ხუთი ობიექტი) იყო გაუმართავი კანალიზაციის სისტემა, აღნიშნულთან დაკავშირებით დევნილთა კოლექტიური განცხადების საფუძველზე, წარმომადგენლობის შუამდგომლობით, ადგილობრივი თვითმმართველობის ძალისხმევით აღმოფხვრილ იქნა არსებული პრობლემა.
- წარმომადგენლობის შუამდგომლობით, ქალაქ ზუგდიდში მდებარე ყოფილი უნივერსიტეტის შენობა, დევნილთა და განსახლების სამინისტროს მიერ ჩასმული იქნა 2015 წელს გადასახურ ობიექტთა ნუსხაში.
- წარმომადგენლობის თხოვნითა და შუამდგომლობით, ქალაქ ზუგდიდში მდებარე ყოფილი ბაღი №9 ზუგდიდის რაიონული გამგეობის მიერ იქნა გადახურული.
- წარმომადგენლობის შუამდგომლობით, ქალაქ ზუგდიდში მდებარე ყოფილი მე-5 სკოლის შენობა დევნილთა და განსახლების სამინისტროს მიერ ჩასმული იქნა 2015 წელს სარეაბილიტაციო ობიექტთა ნუსხაში (გამოიცვლება დერეფნის იატაკი მთლიანად დაახლოებით 700მ2).
- ქალაქ ზუგდიდში, ხორავას ქუჩა №2-ში მდებარე დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტს, 15 ნოემბერს გაეთიშა ელექტროენერგია დავალიანების გამო. წარმომადგენლობის თხოვნითა და

შუამდგომლობით, დევნილთა და განსახლების სამინისტრომ, დევნილთა კომპაქტურ ჩასახლების ობიექტს ელ.ენერგიის სექტემბრის თვის დავალიანების დასაფარად ჩაურიცხა 2400 ლარი.

- ქალაქ ზუგდიდში, დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტს, ი.ქ.კ. ადმინისტრაციის შენობას ჰქონდა ანალოგიური მდგომარეობა ელ.ენერგიის გათიშვასთან დაკავშირებით, აღნიშნული შენობის დავალიანება შეადგენდა დაახლოებით 6000 ლარს. წარმომადგენლობის თხოვნითა და შუამდგომლობით, დევნილთა და განსახლების სამინისტრომ, დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტს ელ.ენერგიის სექტემბრის თვის დავალიანების დასაფარად ჩაურიცხა 1600 ლარი.
- წარმომადგენლობის თანამშრომელთა ძალისხმევითა და მონდომებით აფხაზეთიდან დევნილ 55 სოციალურად დაუცველ ოჯახებს გადაეცათ საახალწლო საჩუქრები.
- მიმდინარეობს აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების დაფიქსირება. 2014 წლისგანმავლობაშიდაფიქსირებულია 106 ფაქტი, რაზედაც სათანადო რეაგირებისათვის ინფორმაციები დროულად მიეწოდება შესაბამის ორგანოებს.
- 2014 წელს - წარმომადგენლობაში გაცემულია 1277ცნობა, დევნილად რეგისტრაციაში გატარდა 302პირი (მათშორის 5 წლამდე 130 ბავშვი), გაცემულია211პირადობის დამდგენი კომისიის დასკვნა და173დაბადების მოწმობისმისაღები დასკვნა. შემოსულია 1105 და გასულია 1002წერილი.

- ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის მიერ 2014 წელს გატარებული ღონისძიებების ნუსხა:

- 2014 წლის თებერვალ-მარტსა და დეკემბერში განხორციელდა წარმომადგენლობის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ორგანიზება. კონკურსი ჩატარდა კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, წარმომადგენლობის ვაკანტური თანამდებობები (10 საშტატო ადგილი) დაკომპლექტდა კონკურსის შედეგად შერჩეული პერსონალით.
- წარმომადგენლობა ორგანიზაციულად იყო ჩართული აჟარის მუნიციპალიტეტთან ერთობლივად განხორციელებულ შემდეგ ღონისძიებებში:
- დევნილთა სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით დახმარება გაეწია:
- ომში დაღუპულ პირთა 36 ოჯახს;
- მრავალშვილიან 124 ოჯახს;
- მრავალშვილიან ოჯახში ახალი ბავშვის დაბადების გამო 22 ოჯახს;
- 6 მარტოხელა დედას;
- დედ-მამით ობოლ ერთ ბავშვს;
- 121 მარტოხელა პენსიონერს;
- 40 მარჩენალდაკარგულ ბავშვს;
- 11 ონკოლოგიურ დაავადებულს;
- უმწეო მდგომარეობაში მყოფ 238 ოჯახს;
- 126 ავადმყოფ და შეზღუდული შესაძლებლობის ბენეფიციარს

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 11 დევნილისთვის, რომლებიც დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდებიან შეძენილ იქნა სპეციალური ეტლები;
- 111 ხანდაზმულ ბენეფიციარს;
- დაკრძალვის ხარჯები ნაწილობრივ დაეფარა 39 ოჯახს;
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის საფასური გადახდილ იქნა 22 დევნილი სტუდენტისთვის;
- განხორციელდა უმაღლესი სასწავლებლის 3 დევნილი მაგისტრანტის თანადაფინანსება;
- გადაუდებელ შემთხვევებში ერთჯერადი ფულადი დახმარების მიზნით გაწეულმა დახმარებამ შეადგინა 2820 ლარი;
- 40 პირველკლასელი ბავშვისთვის შეძენილ იქნა სასკოლო ჩანთა, რისთვისაც დახარჯულ იქნა 1400 ლარი;
- საახალწლოდ 385 ბავშვმა მიიღო საჩუქარი მუნიციპალიტეტისგან;
- გაზის გამათბობელი გადაეცა 60 ოჯახს.

ამასთან ერთად, წარმოგიდგენთ ინფორმაციას „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2014 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 04 აგვისტოს #461 დადგენილების შესრულების მიზნით, 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული გაწვევის(დანართი #3,1 ფურცელი), ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გაცემის 2014 წლის შედეგებისშესახებ (დანართი #4,1 ფურცელი) და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა,განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან 2014 წლის 1 იანვრიდან შემოსულ წერილებზე მუშაობის ანალიზს (დანართი№5, 1 ფურცელი).

დეპარტამენტი და აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობები შემდგომშიც განაგრძობენ თავის საქმიანობას შემუშავებული გეგმის შესაბამისად და ზემდგომი ორგანოების დავალებების გათვალისწინებით.

დეპარტამენტის თავმჯდომარე კონსტანტინე კუჭუხიძე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისმთავრობის
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ ვახტანგ ყოლბაიას

ბატონო ვახტანგ,

წარმოგიდგენთ ანგარიშს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობების მიერ 2014 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი: 41 ფურცელი (ანგარიში-18 ფურცელი).

პატივისცემით,
დეპარტამენტისთავმჯდომარე კონსტანტინე კუჭუხიძე